

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი



კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლის კვლევა

თბილისი

2026

## კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლის კვლევა

### კვლევის მიზანი

წინამდებარე კვლევის მიზანია თსუ-ის კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატუსის, სამუშაოს კვალიფიკაციასთან შესაბამისობისა და ანაზღაურების მაჩვენებლების შესწავლა, შრომის ბაზარზე მათი ინტეგრაციის ხარისხის შეფასებისა და მიღებული განათლების ეფექტიანობის განსაზღვრის მიზნით. წინამდებარე კვლევა არა მარტო ავლენს კურსდამთავრებულთა პროფესიული რეალიზაციის ტენდენციებსა და გამოწვევებს, ასევე მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების, სწავლის შედეგების შეფასებისა და ინსტიტუციური ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

აღნიშნული კვლევა განხორციელდა QS უნივერსიტეტების საერთაშორისო რანჟირების ფარგლებში, სადაც კურსდამთავრებულთა დასაქმების ინდიკატორები განიხილება როგორც უნივერსიტეტის საგანმანათლებლო შედეგიანობის, უნივერსიტეტის ინსტიტუციური ხარისხის, რეპუტაციისა და გლობალური კონკურენტუნარიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საზომი.

### კვლევის მეთოდოლოგია

კვლევა განხორციელდა რაოდენობრივი სოციალური კვლევის დიზაინის ფარგლებში და ეფუძნება პოპულაციაზე დაფუძნებულ (population-based / census approach) მიდგომას, რაც გულისხმობს სამიზნე პოპულაციის ყველა წევრის კვლევაში მონაწილეობისათვის მოწვევას.

QS უნივერსიტეტების საერთაშორისო რანჟირების 2026 წლის მეთოდოლოგიის შესაბამისად, კვლევის სამიზნე პოპულაციად განისაზღვრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შვიდივე ფაკულტეტის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ბოლო 15 თვის კურსდამთავრებულები. სამიზნე ერთობლიობის მოცულობა შეადგენდა 3633 პირს.

მონაცემთა შეგროვების ინსტრუმენტად გამოყენებული იქნა სტრუქტურირებული ონლაინ კითხვარი, რომელიც კურსდამთავრებულებს Google Forms პლატფორმის მეშვეობით დაეგზავნათ. კითხვარი მოიცავდა 9 დახურული ტიპის შეკითხვას, რომლებიც ფოკუსირებული იყო შემდეგ ძირითად ცვლადებზე:

- დემოგრაფიული მახასიათებლები;
- დასრულებული საგანმანათლებლო საფეხური და ფაკულტეტი;
- სწავლის გაგრძელება შემდგომ საფეხურზე;

- დასაქმების სტატუსი;
- უმუშევრობის მიზეზები;
- სამუშაო დატვირთვა;
- ანაზღაურების დიაპაზონი.

კვლევის შესახებ ინფორმაცია პოტენციურ რესპონდენტებს მიეწოდათ ელექტრონული ფოსტისა და მოკლე ტექსტური შეტყობინების (SMS) საშუალებით. მონაწილეობა იყო ნებაყოფლობითი, ხოლო მონაცემთა შეგროვების პროცესში სრულად იყო უზრუნველყოფილი რესპონდენტთა ანონიმურობა და კონფიდენციალურობა.

გამოკითხვა მიმდინარეობდა 2026 წლის 20 იანვრიდან 2 თებერვლის ჩათვლით. მონაცემთა შეგროვებისა და დამუშავების პროცესი იყო ცენტრალიზებული და განხორციელდა თსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ.

### კვლევის შედეგები - რაოდენობრივი ანალიზი


კვლევაში მონაწილეობა მიიღო თსუ-ის შვიდივე ფაკულტეტის სამივე საფეხურის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა (მათ შორის, ინტეგრირებული და ერთსაფეხურიანი პროგრამები), დოქტორანტურა) უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ბოლო 15 თვის 492-მა კურსდამთავრებულმა. სამიზნე პოპულაციის მოცულობის (N=3633) გათვალისწინებით, გამოხმაურების მაჩვენებელი შეადგენს 13.5%-ს. სოციალური კვლევების პრაქტიკაში, განსაკუთრებით კურსდამთავრებულთა ტრეკინგის კვლევების შემთხვევაში, აღნიშნული მაჩვენებელი ფასდება როგორც სტატისტიკურად მისაღები და ანალიტიკური დასკვნების ფორმულირებისთვის საკმარისი.

### გამოკითხვაში მონაწილეთა დემოგრაფიული მაჩვენებლები


კვლევაში მონაწილე რესპონდენტთა დიდი წილი მდედრობითი სქესისაა (76%), რაც მიუთითებს საქართველოში ქალებისთვის უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის მაღალ შესაძლებლობებზე. ასაკობრივი განაწილების მიხედვით, რესპონდენტთა ძირითადი ნაწილი კონცენტრირებულია 22-26 წლის ასაკობრივ ჯგუფში, რაც ლოგიკურად შეესაბამება ახლად კურსდამთავრებულთა პოპულაციას. შედარებით მცირე, თუმცა თვალსაჩინო წილი მოდის 27–35 წლის ჯგუფზე, ხოლო 36 წლის და მეტი ასაკის კურსდამთავრებულები კვლევაში წარმოდგენილი არიან მინიმალური რაოდენობით (3%).

რესპონდენტთა სოციო-დემოგრაფიული მახასიათებლები (სქესი და ასაკი) წარმოდგენილია შესაბამის ვიზუალურ მასალაში (იხ. დიაგრამები N1 და N2).

დიაგრამა N1. სქესი




დიაგრამა N2. ასაკი



**ფაკულტეტი, დასრულებული სწავლების საფეხური და შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელების მაჩვენებელი**


გამოკითხულ რესპონდენტთა რაოდენობით ლიდერობს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი (21.3% - 105 რესპონდენტი), მას მოსდევს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის (21.1% - 104 რესპონდენტი). მესამე, ყველაზე დიდი რაოდენობით წარმოდგენილია იურიდიული ფაკულტეტი (17.5% - 86 რესპონდენტი). მეტ-ნაკლებად რეპრეზენტატულია სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა (14.6% - 72 რესპონდენტი) და ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტები (12.2% - 60 რესპონდენტი). შედარებით დაბალი გამოხმაურების მაჩვენებელი აქვს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტსა (17.9% - 39 რესპონდენტი) და მედიცინის ფაკულტეტებს (5.3% - 26 რესპონდენტი) (იხ. დიაგრამა N3).

დიაგრამა N3. ფაკულტეტი



დასრულებული საგანმანათლებლო საფეხურების მიხედვით, რესპონდენტთა ყველაზე დიდი წილი წარმოდგენილია ბაკალავრიატის კურსდამთავრებულებით (77% - 378 კურსდამთავრებული). შედარებით მცირე, თუმცა მნიშვნელოვნად წარმოდგენილი ჯგუფია მაგისტრატურის კურსდამთავრებულები (19% - 92 კურსდამთავრებული), ხოლო დოქტორანტურის საფეხურის კურსდამთავრებულები შეადგენენ გამოკითხულთა 2%-ს (12 კურსდამთავრებული). სხვა კურსდამთავრებულთა რაოდენობა უმნიშვნელოა - მერყეობს 0.4-2%-მდე (სულ 10 კურსდამთავრებული (2-ინტეგრირებული, 8-ერთსაფეხურიანი)) (იხ. დიაგრამა N4).

დიაგრამა N4. დასრულებული სწავლების საფეხური





კვლევის ფარგლებში დავინტერესდით თუ როგორია კურსდამთავრებულთა შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელების მაჩვენებელი. გამოკითხვის შედეგების ანალიზმა აჩვენა, რომ კურსდამთავრებულთა 32.5%-მა (160 კურსდამთავრებული) სწავლა გააგრძელა შემდგომ საფეხურზე, ხოლო დიდ ნაწილს, 67.5%-ს (332 კურსდამთავრებული) სწავლის გაგრძელების საჭიროება არ ჰქონია.

აღსანიშნავია, რომ ბაკალავრიატის კურსდამთავრებულთა (N=378) მხოლოდ 31%-მა (117 რესპონდენტი) გააგრძელა სწავლა შემდგომ საფეხურზე მაგისტრატურაში, რაც საკმაოდ დაბალი მაჩვენებელია. შედარებით მაღალია მაგისტრატურის კურსდამთავრებულთა (მათ შორის, ინტეგრირებული და ერთსაფეხურიანი პროგრამების) სწავლის გაგრძელების მაჩვენებელი (N=92), რაც 40%-ს შეადგენს (37 რესპონდენტი). რაც შეეხება დოქტორანტურის კურსდამთავრებულთა (N=12) სწავლა გაგრძელების მაჩვენებელს შეადგენს 50%-ს (6 რესპონდენტი) (იხ. დიაგრამები N5 და 6).

დიაგრამა N5. სწავლის გაგრძელების მაჩვენებელი

დიაგრამა N6. სწავლის გაგრძელების მაჩვენებელი საფეხურების მიხედვით




## დასაქმების მაჩვენებელი და ანაზღაურება

კვლევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენდა კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატუსის, სამუშაო დატვირთვისა და შრომის ანაზღაურების ანალიზი, რაც საშუალებას იძლევა შეფასდეს საგანმანათლებლო პროგრამების შრომის ბაზართან შესაბამისობის ხარისხი.

გამოკითხვის შედეგების მიხედვით, კურსდამთავრებულთა საერთო დასაქმების მაჩვენებელი შეადგენს 69.5%-ს, რაც ახლად კურსდამთავრებულთა დასაქმების ტენდენციების გათვალისწინებით შეიძლება შეფასდეს, როგორც დამაკმაყოფილებელი მაჩვენებელი. თუმცადა, უნდა აღინიშნოს, რომ ხსენებული 69.5%-დან კვალიფიკაციით დასაქმების მაჩვენებელი 39%-ს შეადგენს (იხ. დიაგრამა N7).

დიაგრამა N7. დასაქმების მაჩვენებელი



დასრულებული სწავლების საფეხურების მიხედვით, დასაქმების მაჩვენებელი დიფერენცირებულია და ასე გამოიყურება:

- ბაკალავრიატი - 67%
- მაგისტრატურა - 78%
- დოქტორანტურა - 100%
- ერთსაფეხურიანი - 75%
- ინტეგრირებული - 0%

მონაცემები ცხადყოფს, რომ განათლების უფრო მაღალი საფეხური დადებით კორელაციაშია დასაქმების მაჩვენებელთან, რაც განსაკუთრებით მკაფიოდ იკვეთება მაგისტრატურისა და დოქტორანტურის შემთხვევაში.

როგორც N7 დიაგრამა აჩვენებს, გამოკითხული რესპონდენტებიდან ამ ეტაპზე უმუშევარია 30.5% (150 რესპონდენტი). უმეგობრობის მიზეზების ანალიზი აჩვენებს, რომ შემთხვევათა აბსოლუტური უმრავლესობა უკავშირდება სამუშაოს აქტიურ ძიებას, რაც მიუთითებს შრომის ბაზარზე ინტეგრაციის პროცესის მიმდინარეობაზე და არა შრომითი აქტივობიდან გასვლაზე. შემთხვევათა მცირე ნაწილში უმუშევრობის მიზეზებად გამოიკვეთა პირადი მიზეზები, სამხედრო სამსახური და ოჯახური მდგომარეობა.


უმუშევრობის ძირითადი ტენდენციები:

- ✓ ეძებს სამსახურს - 135 შემთხვევა (გამოკითხულთა 90%)
- ✓ ოჯახური მიზეზები - 4 შემთხვევა (გამოკითხულთა 3%)
- ✓ პირადი მიზეზები (ჯანმრთელობის მდგომარეობა/მენტალური პრობლემები) - 2 შემთხვევა (გამოკითხულთა 1 %)
- ✓ სხვა მიზეზები (სამხედრო სამსახური/სწავლის გაგრძელება) - 9 შემთხვევა (გამოკითხულთა 6%)


დიაგრამა N8. სამუშაო განაკვეთი

კვლევის ფარგლებში დავინტერესდით კურსდამთავრებულთა სამუშაო განაკვეთითა და ანაზღაურებით. დასაქმებულ კურსდამთავრებულთა სამუშაო დატვირთვის ანალიზი აჩვენებს, რომ 342 რესპონდენტიდან 87% (298 კურსდამთავრებული) დასაქმებულია სრულ განაკვეთზე (იხ. დიაგრამა N8).

რაც შეეხება შრომის ანაზღაურებას, 33%-ის შემთხვევაში სახელფასო განაკვეთი მერყეობს 500-1000 ლარამდე დიაპაზონში. გამოკითხულთა 26%-ის შემთხვევაში ანაზღაურება განისაზღვრება 1000-1500 ლარის ფარგლებში. 17%-ის შემთხვევაში ანაზღაურება სცდება 1500 ლარს, მაგრამ მაქსიმუმ 2000 ლარამდე შესაძლოა იყოს. დასაქმებულ კურსდამთავრებულთა მხოლოდ 24% აქვს 2000 ლარი და მეტი (იხ. დიაგრამა N9).



დიაგრამა N9. ხელფასი



მონაცემები აჩვენებს, რომ დასაქმებულთა მნიშვნელოვანი ნაწილი კონცენტრირებულია საშუალო ანაზღაურების სეგმენტში, თუმცა 41%-ის შემთხვევაში ანაზღაურება აღემატება 1500 ლარს, რაც მიუთითებს კურსდამთავრებულთა ნაწილის შედარებით კონკურენტუნარიან პოზიციებზე დასაქმების ბაზარზე.

კვლევის ფარგლებში განხორციელდა შრომის ანაზღაურების შედარებითი ანალიზი სწავლების საფეხურების მიხედვით, რაც იძლევა შესაძლებლობას შეფასდეს განათლების დონის გავლენა ეკონომიკურ შედეგებზე და დამსაქმებელთა სახელფასო პოლიტიკის ტენდენციებზე.

დასაქმებულ კურსდამთავრებულთა განაწილება საფეხურების მიხედვით შემდეგია:

- ✚ დასაქმებულ ბაკალავრიატის კურსდამთავრებულთა რაოდენობა N=252
- ✚ დასაქმებულ მაგისტრატურის კურსდამთავრებულთა რაოდენობა N=72
- ✚ დასაქმებულ დოქტორანტურის საფეხურის კურსდამთავრებულთა რაოდენობა N=12
- ✚ დასაქმებულ ერთსაფეხურიანი პროგრამების (მედიცინა/სტომატოლოგია) კურსდამთავრებულთა რაოდენობა N=6

მონაცემების ანალიზმა აჩვენა, რომ ბაკალავრიატის კურსდამთავრებულთა შემოსავლები ძირითადად კონცენტრირებულია დაბალ და საშუალო ანაზღაურების სეგმენტებში.

იღებს 500-1000 ლარამდე;

- 19% იღებს 1000-1500 ლარამდე;
- 28% იღებს 1500-2000 ლარამდე;
- 19% იღებს 2000 ლარს და მეტს.

მონაცემები მიუთითებს, რომ ბაკალავრიატის საფეხური ხშირ შემთხვევაში წარმოადგენს შრომით ბაზარზე შესვლის საწყის ეტაპს, სადაც ანაზღაურება ეტაპობრივ ზრდას ექვემდებარება პროფესიული გამოცდილების დაგროვებასთან ერთად.

მაგისტრატურის კურსდამთავრებულთა ანაზღაურება მკვეთრად გადაადგილებულია მაღალი შემოსავლის სეგმენტისკენ:

- 24% იღებს 500-1000 ლარამდე;
- 22% იღებს 1000-1500 ლარამდე;
- 13% იღებს 1500-2000 ლარამდე;
- 42% იღებს 2000 ლარს და მეტს.

აღნიშნული განაწილება მიუთითებს, რომ მაგისტრატურის ხარისხი მნიშვნელოვნად ზრდის მაღალანაზღაურებად პოზიციებზე დასაქმების ალბათობას და ასახავს დამსაქმებელთა მზარდ მოთხოვნას სპეციალიზებულ კომპეტენციებზე.

დოქტორანტურის კურსდამთავრებულთა ნახევარი (50%) იღებს 2000 ლარს ან მეტს, 25% საშუალო სახელფასო სეგმენტშია წარმოდგენილი (1500-2000 ლარამდე), ხოლო მხოლოდ 25% არის წარმოდგენილი 1500 ლარზე დაბალ სეგმენტში. ეს ტენდენცია ადასტურებს, რომ უმაღლესი აკადემიური კვალიფიკაცია კორელაციაშია მაღალანაზღაურებად პოზიციებთან, რაც შეიძლება უკავშირდებოდეს კვლევით, აკადემიურ ან მაღალი ექსპერტიზის სფეროებში დასაქმებას.

ერთსაფეხურიანი პროგრამების (მედიცინა/სტომატოლოგია) კატეგორიაში ანაზღაურება მთლიანად დაბალ და საშუალო დიაპაზონშია (67% იღებს 500–1000 ლარამდე; 33% იღებს 1000–1500 ლარამდე). აღნიშნული შედეგი შესაძლოა ასახავდეს კარიერის საწყის ეტაპს (რეზიდენტურა, პრაქტიკის დაგროვების პერიოდი), რადგან აღნიშნულ პროფესიებში შემოსავალი დროთა განმავლობაში მნიშვნელოვნად იზრდება.

სწავლების საფეხურების მიხედვით სახელფასო განაკვეთი და დამსაქმებელთა სახელფასო პოლიტიკა ასე გამოიყურება (იხ. ცხრილი N1):

**ცხრილი N1. სახელფასო განაკვეთი და დასრულებული სწავლების საფეხური**

სწავლების საფეხური/შრომის ანაზღაურება	500-1000 ლარამდე	1000-1500 ლარამდე	1500-2000 ლარამდე	2000 ლარი ან მეტი
ბაკალავრიატი	88 – 35%	47 – 19%	70 – 28%	49 – 19%
მაგისტრატურა	17 – 24%	16 – 22%	9 – 13%	30 – 42%
დოქტორანტურა	2 – 17%	1 – 8%	3 – 25%	6 – 50%
ერთსაფეხურიანი	4 – 67%	2 – 33%	0 – 0%	0 – 0%